№ 6/00242 „24" 09 2018

ქალაქ თბილისის მერიის
სსიპ არქიტექტურის სამსახურს

სს „ბანკი ქართუ" (ს.კ.204891652) თანახმაა, შპს „ნიუ ჰოსპიტალსმა" (ს.კ.205210467) ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი განცხადების AR1632370 შესაბამისად განახორციელოს მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქალაქი თბილისი, კრწანისის ქუჩა N12/გორგასლის ქ. N71 (საკადასტრო კოდი **01.18.06.019.096**) ძველი შენობა ნაგებობა N8/1-ის დემონტაჟი იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე სს „ბანკი ქართუს" სასარგებლოდ გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულებებით (N (ი) ნიუ ჰოსპიტალს/22-09-10 და N (ი) ნიუ ჰოსპიტალს/21-02-11) გათვალისწინებული პირობები დარჩება უცვლელი.

პატივისცემით,

ზურაბ გოგუა

კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: გ. ანდიაშვილი

სს „ბანკი ქართუს“(ს/კ 204891652) ყველა დირექტორის მათ შორის კომერციული დირექტორის ზურაბ გოგუას ერთპიროვნულიწარმომადგენლობა ჩაბარებულია სამეწარმეო რეესტრში 2013 წლის 25 ოქტომბრის B13107128 სარეგისტრაციო განაცხადში და 2018 წლის 19 ივნისის **B18066560** განაცხადში

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18066560, 20/06/2018 14:14:19

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	სს ბანკი ქართუ
სამართლებრივი ფორმა:	სააქციო საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	204891652
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	5/5-54; 01/11/1996
მარეგისტრირებელი ორგანო:	ვაკის რაიონის სასამართლო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ., N39ა

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: info@cartubank.ge

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- სამეთვალყურეო საბჭო

  თავმჯდომარე/წევრი: 01015004070, ნიკოლოზ ჩხეტიანი

  წევრი: 01011064103, ეთერი დემინაშვილი

  წევრი: 01004003357, ბესიკ დემეტრაშვილი

  წევრი: 01011055455, თემური კობახიძე

  წევრი: 35001016408, გიორგი პერტაია

- დირექტორატი

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- გენერალური დირექტორი - 01003011336, ნატო ხაინდრავა

  დირექტორატის წევრი
- 12001031377, დავით გალუაშვილი

  ოპერაციების დირექტორი/დირექტორატის წევრი
- 01024015586, ბექა კვარაცხელია

  რისკების დირექტორი/დირექტორატის წევრი
- 01010013094, ზურაბ გოგუა

  კომერციული დირექტორი/დირექტორატის წევრი
- 01001029463, გივი ლებანიძე

  ფინანსური დირექტორი/დირექტორატის წევრი

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N131127480
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.10.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ციური ბერიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2-23-08-90.
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	91628343255013

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ცამეტი წლის ოცდაბუთ ოქტომბერს, მე-ციური ბერიძეს, ნოტარიუსს საქართველოში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №68-ში, მომმართა:

ბატონმა ნიკოლოზ გულუამ (პირადი № 62004011993) და მიმიწვია ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 39 "ა"-ში მდებარე ს.ს "ბანკი ქართუ"-ს სათავო ოფისში, სადაც მომმართა ბატონმა ნოდარ ჯავახიშვილმა (დაბ. 1954 წლის 07.10, პირადი № 01024007517, რეგისტრირებული ქ. თბილისი, შარტავას ქ. № 45, ბ. 22), როგორც ს.ს "ბანკი ქართუ"-ს (ს/კ 204891652) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ.

მისი სურვილია 2013 წლის 25 ოქტომბერს გამართულ ს.ს "ბანკი ქართუ"-ს (ს/კ 204891652) სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება სანოტარო წესით.

შევამოწმე პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობებით. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის ოქმს ხელი მოაწერა ჩემი-ნოტარიუსის თანდასწრებით.

მე, ნოტარიუსმა ციური ბერიძემ ხელმომწერს განვუმარტე, რომ ვადასტურებ ალნიშნულ ოქმზე მისი ხელმოწერების სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ ოქმის შინაარსსა და სამართლებრივ შედეგებზე.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29.12. №507 დადგენილების 31.3-მუხლის საფუძველზე-2 ლარი, მუხლი 34.2-ით 20 ლარი მუხლი 39-ის საფუძველზე-2 ლარი-ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის და დღგ-3.96 ლარი, საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად. სულ- 27.96 ლარი

ნოტარიუსი - ციური ბერიძე

სააქციო საზოგადოება "ბანკი ქართუ"
სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი 25 ოქტომბერი 2013 წელი

სხდომას ესწრებოდნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:

ნოდარ ჯავახიშვილი (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე)
ნათელა ყალიჩავა
ეთერი დემინაშვილი

სხდომის თავმჯდომარე – ნ. ჯავახიშვილი

დღის წესრიგი: 1) ბანკის დირექტორატის განახლებული შემადგენლობის დამტკიცება
2) ბანკის ფილიალებში სტრუქტურული ცვლილებები

სხდომამ იმსჯელა დღის წესრიგში არსებულ საკითხთან დაკავშირებით და

დაადგინა:

1. ბანკის დირექტორატის შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგნაირად
   - გენერალური დირექტორი
   - ფინანსური დირექტორი
   - ოპერაციების დირექტორი
   - რისკების დირექტორი
   - კომერციული დირექტორი
2. ქალბატონი ნატო ხაინდრავა გათავისუფლდეს გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის თანამდებობიდან და დაინიშნოს ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე.
3. ბატონი დავით გალუაშვილი გათავისუფლდეს გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან და დაინიშნოს ოპერაციების დირექტორის თანამდებობაზე.
4. რისკების დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნოს ბატონი ბექა კვარაცხელია.
5. კომერციული დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნოს ბატონი ზურაბ გოგუა.
6. დირექტორებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განესაზღვროთ ერთპიროვნულად.
7. მთაწმინდის ფილიალში , ბათუმის ფილიალში და ქუთაისის ფილიალში განხორციელდეს სტრუქტურული ცვლილება და აღნიშნული ფილიალების ბაზაზე შეიქმნას მთაწმინდის სერვისცენტრი, ბათუმის სერვისცენტრი და ქუთაისის სერვისცენტრი.
8. მთაწმინდის ფილიალის დირექტორი ლიანა ბეჟუაშვილი გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან და დაინიშნოს მთაწმინდის სერვისცენტრის მენეჯერის თანამდებობაზე.
9. ქუთაისის ფილიალის დირექტორი დიმიტრი გაჩეჩილაძე გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან და დაინიშნოს ქუთაისის სერვისცენტრის მენეჯერის თანამდებობაზე.
10. ბათუმის ფილიალის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ლუკა ვეფხვაძე გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან და დაინიშნოს ბათუმის სერვისცენტრის მენეჯერის მოვალეების შემსრულებლად.
11. შეიქმნას ბანკის ცენტრალური სერვისცენტრი. დამტკიცდეს ცენტრალური სერვისცენტრის დებულება.
12. აღნიშნული დადგენილება ძალაში შევიდეს 2013 წლის 01 ნოემბრიდან.

სხდომის თავმჯდომარე ნ. ჯავახიშვილი ნ. ჯავახიშვილი

ქ. თბილისი 19 ივნისი 2018 წელი

სს "ბანკი ქართუს" 100%–იანი აქციონერის
გადაწყვეტილება

სს "ბანკი ქართუს" 100 %–იანმა აქციონერმა, სს "ქართუ ჯგუფმა"

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სს „ბანკი ქართუს" სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის თანამდებობაზე დაინიშნონ ბატონი თემური კობახიძე (პირადი #01011055455) და ბატონი გიორგი პერტაია (პირადი #35001016408).
2. სს „ბანკი ქართუს" წესდების თავის „VIII. ბანკის მართვის ორგანოები"-ს მე-9; მე-13 და მე-15 პუნქტებში შევიდეს ცვლილებები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. აქციონერთა კრებებს შორის პერიოდში სამეთვალყურეო ფუნქციებს ასრულებს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც აირჩევა აქციონერთა კრების მიერ სულ ცოტა 3 და არაუმეტეს 21 წევრისაგან."

„13. აქციონერთა კრებასა და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომათა შორის პერიოდში ბანკის მთელ საქმიანობას ხელმძღვანელობს ბანკის დირექტორატი თავისი კომპეტენციის ფარგლებში.
დირექტორატი არის ბანკის აღმასრულებელი ორგანო.
დირექტორატის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.
დირექტორატი შედგება გენერალური დირექტორის, ოპერაციების დირექტორის, რისკების დირექტორის, ფინანსური დირექტორის, კომერციული დირექტორისაგან, ამასთან დირექტორატის წევრთა რიცხვი არ შეიძლება იყოს სამზე ნაკლები. დირექტორატის წევრები უფლებამოსილნი არიან დამოუკიდებლად, ერთპიროვნულად წარმოადგინონ ბანკი მესამე პირებთან ურთიერთობებში. "

"15. ბანკის გენერალური დირექტორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:
_ განახორციელებს ბანკის საქმიანობის ოპერატიულ ხელმძღვანელობას;
_ მინდობილობის გარეშე მოქმედებს ბანკის სახელით, წარმოადგენს მას ნებისმიერ ურთიერთობაში, გასცემს მინდობილობებს;
_ დამოუკიდებლად დებს გარიგებებს (კონტრაქტებს);
_ იყენებს წახალისების ზომებს ბანკის თანამშრომელთა მიმართ და ადებს მათ სასჯელს შინაგანაწესის შესაბამისად;

_ ნიშნავს და ათავისუფლებს თანამშრომლებს სამსახურიდან საშტატო განრიგის შესაბამისად, გარდა იმ პირებისა, რომელთა დანიშვნა სამეთვალყურეო საბჭოს პრეროგატივაა;
_ იღებს გადაწყვეტილებებს და გამოსცემს ბრძანებებს ბანკის შიდა საქმიანობის ოპერატიული საკითხების შესახებ;
_ ამზადებს წინადადებებს ბანკის პერსონალის მომზადების ღონისძიებათა გეგმების შესახებ;
_ განახორციელებს სხვა აუცილებელი მასალების მომზადებას და წარდგენას აქციონერთა კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს გადასაწყვეტად, უზრუნველყოფს ამ ორგანოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას;
_ განახორციელებს ნებისმიერ სხვა საქმიანობას, რომელიც აუცილებელია ბანკის მიზნების შესასრულებლად იმ ფუნქციათა გამოკლებით, რომლებიც განეკუთვნება აქციონერთა კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას.
გენერალური დირექტორის მოვალეობას, მისი არ ყოფნის შემთხვევაში, ასრულებს გენერალური დირექტორის მიერ განსაზღვრული დირექტორატის რომელიმე წევრი."

3. სს „ბანკი ქართუს" დირექტორატს/დირექტორს დაევალოს წინამდებარე გადაწყვეტილების შესასრულებლად წარდგენა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით და ეროვნულ ბანკში.

სს "ქართუ ჯგუფის" აღმასრულებელი დირექტორი
გოჩა ჩიკვილაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180711666
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	19.06.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ციური ბერიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2-23-08-90.
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	28913287150518

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას თვრამეტი წლის ცხრამეტ ივნისს, მე–ციური ბერიძეს, ნოტარიუსს საქართველოში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №68–ში, მომმართა: ბატონმა ნიკოლოზ გულუამ (პირადი № 62004011993) და მიმიწვია ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 39 "ა"–ში მდებარე ს.ს. "ბანკი ქართუ"–ს ცენტრალურ ოფისში, სადაც მომმართა:

ბატონმა გოჩა ჩიკვილაძემ (დაბ. 27.07.1965 წელს, პირადი № 01023008103, რეგისტრირებული თბილისი ვარდისუბნის ქ. N 22), როგორც ს.ს. "ქართუ ჯგუფი"–ს აღმასრულებელმა დირექტორმა.

მან წარმოადგინა მის მიერ შედგენილი და ტექნიკურად გამართული ს.ს. "ბანკი ქართუ"–ს 100 %–იანი აქციონერის ს.ს. "ქართუ ჯგუფი"–ს აქციონერის გადაწყვეტილება და მისი სურვილია აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება სანოტარო წესით.

შევამოწმე პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობით. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

ხელმომწერმა გადაწყვეტილებას ხელი მოაწერა ჩემი–ნოტარიუსის თანდასწრებით.

მე, ნოტარიუსმა ციური ბერიძემ ხელმომწერს განვუმარტე, რომ ვადასტურებ აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე მისი ხელმოწერების სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ გადაწყვეტილების შინაარსსა და სამართლებრივ შედეგებზე.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ,საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29.12. №507 დადგენილების 31.3–მუხლის საფუძველზე–2 ლარი, მუხლი 34.2–ით 20 ლარი მუხლი 39–ის საფუძველზე–2 ლარი–ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის და დღგ–3.96 ლარი, საგადასახადო კოდექსის 169–ე მუხლის თანახმად. სულ– 27.96 ლარი

ნოტარიუსი – ციური ბერიძე